

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

\_\_\_\_\_ აპრილი 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 160-163 პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობის ფართობი (კვ.მ.)
160	ქ.ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა/ლუკა ასათიანის ქუჩა №25/69	არასაცხოვრებელი ფართი მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად	05.28.25.026.02.502	—	161,86
161	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №60-ის მიმდებარე	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.41.056	186	—
162	ქ. ბათუმში, ტბეთის ქ. №11-ის მიმდებარე	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.30.098	767	—
163	ქ. ბათუმი, ქეთევან წამებულის I ჩიხი №3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.01.898	56	—

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 160-163 პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/ირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართობი (კვმ)			
160	ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა/ლუკა ასათიანის ქუჩა №25/69	არასაცხოვრებელი ფართი მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად	05.28.25.026.02.502	—	161,86	316 877	უპირობო	ხელშეკრულები ს გაფორმებიდან 15 დღეში
161	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №60-ის მიმდებარე	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.41.056	186	—	42 408	უპირობო	ხელშეკრულები ს გაფორმებიდან 15 დღეში
162	ქ. ბათუმში, ტბეთის ქ. №11-ის მიმდებარე	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.30.098	767	—	174 876	უპირობო	ხელშეკრულები ს გაფორმებიდან 15 დღეში

163	ქ. ბათუმი, ქეთევან წამებულის I ჩიხი №3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.01.898	56	—	24 248	უპირობო	ხელშეკრულები ს გაფორმებიდან 15 დღეში
-----	--	--	--------------	----	---	--------	---------	--------------------------------------

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის (დანართი 2) პუნქტი 70 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

70	ქ. ბათუმი, ბეთლემის ქ. N7-11-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.02.168	1590	—	303690	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
----	--	--	--------------	------	---	--------	---------	-------------------------------------

დ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხიდან (დანართი 1) ამოღებული იქნას 26-ე, 116-ე და 143-ე პუნქტები.

ე) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმიდან (დანართი 2) ამოღებული იქნას 26-ე, 116-ე და 143-ე პუნქტები.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**სულიკო თებბიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების  
ნუსხის და  
პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე  
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოდრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 26-ე პუნქტად შეტანილია ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N 13ა-ში მდებარე 102.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.25.05.217), რომელზეც მოხდა ცვლილება საპრივატიზებო თანხისა და პირობის ნაწილში და ნუსხა/გეგმას დაემატა 38 პუნქტად. შესაბამისად, პუნქტი 26 ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან. ასევე, საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანილი იყო ლერმონტოვის ქ. N48-ს მიმდებარედ 604 კვმ (ს.კ 05.27.19.058) მიწის ნაკვეთი, რომელიც ამჟამად განიხილება ბაგრატიონი 2-ს ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის მშენებლობის ადგილად. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 116). იგეგმება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში მდებარე 45,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 91,26 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 05.28.29.124) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა), ადრინდელი მოაღნაგის ნაწი ქაჯაიასათვის გადაცემა. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 143).

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე